# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №4

25.06.2015 წ.

სხდომის თავმჯდომარე – ჯემალ ძაგანია, რექტორის მ/შ პროფესორი

სხდომის მდივანი – ნინო ქოჩაკიძე, პროფესორი

## სხდომას ესწრებოდნენ :

1. ჯემალ ძაგანია – რექტორის მ/შ; პროფესორი.
2. ნინო ქოჩაკიძე – პროფესორი, სხდომის მდივანი.
3. ირაკლი დოლაბერიძე – ასოცირებული პროფესორი.
4. მანანა მნათობიშვილი – პროფესორი.
5. ედუარდ ფეროიანი – ასოცირებული პროფესორი.
6. დავით ხაჩიძე – ასოცირებული პროფესორი.
7. კახა ხვედელიძე – ასოცირებული პროფესორი.

## დღის წესრიგი:

1. სახელფასო განაკვეთები;
2. ბიუჯეტიდან გახარჯული ხარჯები და ნაშთები;
3. მისაღები გამოცდების წინასწარი შედეგები;
4. მიმდინარე საკითხები;

**მოისმინეს:** რექტორის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიას ინფორმაცია ხელფასების განაკვეთების შესახებ. მომხსენებელმა წარმოადგინა აკადემიური თანამდებობის დამტკიცების, შესაბამისი აკადემიური პერსონალის დატვირთვის და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ ბრძანების პროექტი (თან ერთვის ოქმს), რომლის დანართი №1, დანართი №2, დანართი №3-ში გაწერილია უმაღლესი სასწავლებლის ყველა საშტატო ერთეული და შესაბამისი სახელფასო განაკვეთი (დანართი №1); ახალი აკადემიური თანამდებობების საშტატო ერთეულების რაოდენობა და შესაბამისი სახელფასო განაკვეთები (დანართი №2) და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახეები, პირობები და ოდენობა (დანართი №3). (დანართები თან ერთვის ოქმს).

საბჭომ მოიწონა საქ. ფიზ. აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიას მიერ წარმოდგენილი სახელფასო განაკვეთების განმსაზღვრელი ბრძანების პროექტი.

**საბჭომ კენჭისყრის** შედეგად ერთხმად დაამტკიცა უნივერსიტეტის რექტორის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიას მიერ სახელფასო განაკვეთების მარეგულირებელი აკადემიური თანამდებობების დამტკიცების, შესაბამისი აკადემიური პერსონალის დატვირთვის და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ – ბრძანების პროექტი.

**მოისმინეს:** რექტორის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიას ანგარიში ბიუჯეტიდან გახარჯული ხარჯებისა და ნაშთის შესახებ (ოქმს თან ერთვის).

**საბჭომ დაადგინა:** უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, მოვალეობის შემსრულებლის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიას ანგარიში ბიუჯეტიდან გახარჯული ხარჯებისა და ნაშთის შესახებ მიღებული იქნას ცნობად.

**მოისმინეს:** რექტორის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიამ საბჭოს მოაწოდა ინფორმაცია მისაღები გამოცდების წინასწარი შედეგების შესახებ მან აღნიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლის შიდა ტურის გამოცდები ჩააბარა და ეროვნული მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ვიზირებული იქნა 223 აბიტურიენტი.

**საბჭომ კენჭისყრის** შედეგად გადაწყვიტა უნივერსიტეტის რექტორის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიას ინფორმაცია მისაღების გამოცდების წინასაწარი შედეგების შესახებ მიღებული იქნას ცნობად.

**მოისმინეს:** უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიას ინფორმაცია უმაღლესი საწავლებლის აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებელი სრულად მოემზადა აკრედიტაციისათვის და ელის კომისიას, რომელიც უნდა მოვიდეს 90 სამუშაო დღის განმავლობაში.

**საბჭომ დაადგინა:** რექტორის მ/შ, პროფესორ ჯ. ძაგანიას ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით მიღებული იქნას ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი ჯ. ძაგანია

სხდომის მდივანი, პროფესორი ნ. ქოჩაკიძე

# 39 02 11 სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

| | დაიხარჯა | დარჩა |
|---|---|---|
| ხელფასი | 295719.67 | 239280.33 |
| პრემია | 400.00 | 39600.00 |
| დანამატი | 5469.14 | |
| შტატგარეშე მომუშავეთა | 9797.00 | |
| სხვა ხარჯი | 38065.00 | |
| არაფინანსური | 58060.00 | 26940 |
| სულ: | 407510.81 | 473418 |

საკუთარი შემოსავალი: 121929.00

2015 წლის ბოლომდე ხელფასებისათვის საჭიროა 300000 ლარი;
ხელფასის ფონდში საბიუჯეტო გვაქვს 240000 ლარი;
საჭიროა დამატებით 60000 ლარი, რომელსაც უნივერსიტეტი საკუთარი შემოსავლებიდან გაიღებს.

რემონტისთვის ბიუჯეტში გვაქვს 27000 ლარი;
საკუთარი შემოსავლებიდან გვაქვს 122000 ლარი;

სულ: 149000 ლარი